



აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის სახელმძღვანელო

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

2021

შინაარსი

შესავალი	3
საკანონმდებლო საფუძვლები	4
აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის მომზადების პროცესი	5
ეტაპი 1. სექტორების/უწყებების მონიტორინგი	5
ეტაპი 2. აუდიტორული დეპარტამენტების მიერ აუდიტის თემების შერჩევა და წარმოდგენა	7
ეტაპი 3. აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის ძირითადი პარამეტრების ანალიზი	15
ეტაპი 4. აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის განხილვა და დამტკიცება.....	16
ეტაპი 5. აუდიტორული საქმიანობის წლიური სამოქმედო გეგმის მომზადება და რესურსების განაწილება.....	17
ეტაპი 6. აუდიტორული საქმიანობის წლიურ გეგმაში ცვლილებების შეტანა	18
დანართები:.....	20

შესავალი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების მართვის გაუმჯობესებას, აგრეთვე საჯარო მმართველობის ეფექტიანობასა და ანგარიშვალდებულებას. ამ მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია სამსახურმა უზრუნველყოს საჯარო ფინანსების სფეროში არსებული რისკებისა და სისტემური ხასიათის ხარვეზების დროული გამოვლენა, აუდიტების ჩატარება და ხარისხიანი რეკომენდაციების გაცემა. აქედან გამომდინარე, აქტუალური, რისკებზე ორიენტირებული და ღირებულების მომტანი აუდიტის თემების შერჩევა სამსახურის უპირველესი მიზანია და პირდაპირპროპორციულად აისახება შექმნილ სარგებელზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის გეგმა განისაზღვრება ორგანიზაციის აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით. გეგმის მიზანია, სამსახურის აუდიტორული საქმიანობა ორიენტირებული გახადოს საჯარო მმართველობის მნიშვნელოვან საკითხებზე და ხელი შეუწყოს არსებული რესურსების ოპტიმალურ განაწილებას. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტებში (ISSAI) განხილულია აუდიტის გეგმის მომზადების მნიშვნელობა, კერძოდ:

- ლიმას (ISSAI 1) და მეხიკოს (ISSAI 10) დეკლარაციებით განსაზღვრულია უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების დამოუკიდებლობა აუდიტის თემების შერჩევისა და აუდიტორული გეგმის შედგენის პროცესში;
- ISSAI 12 – უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის როლი და სარგებელი საზოგადოებისათვის. აღნიშნული სტანდარტი ყურადღებას ამახვილებს აუდიტორული გეგმის შედგენის პროცესში რისკებზე დაფუძნებულ მიდგომასა და დაინტერესებული მხარეების მოლოდინების გათვალისწინებაზე;
- ISSAI 20 – გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპები. სტანდარტის მიზანია უზრუნველყოს უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების გამჭვირვალობა და დაგეგმილი აუდიტების მასშტაბისა და დაგეგმვის პროცესის კომუნიკაცია საზოგადოებასთან;
- ISSAI 40 – ხარისხის კონტროლი. აღნიშნული სტანდარტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აუდიტის თემების პრიორიტეტიზაციისა და რესურსების სწორად დაგეგმვას აუდიტის სათანადო ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

ზემოაღნიშნული საერთაშორისო სტანდარტების, კარგი პრაქტიკისა და გამოცდილების გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა „აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის სახელმძღვანელო“. დოკუმენტში მოცემულია აუდიტის თემების შერჩევის მეთოდები/მიდგომები და მისი მიზანია შეიქმნას ერთგვაროვანი მეთოდოლოგიური ბაზა ყველა აუდიტორული დეპარტამენტისათვის, რომელიც უზრუნველყოფს:

- აქტუალური, რისკზე დაფუძნებული და სარგებლის მომტანი აუდიტის თემების შერჩევას;
- აუდიტორული გეგმის მომზადების პროცესის ფორმალიზებასა და გამჭვირვალობას;
- უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნებისა და სამსახურის სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას;
- აუდიტორული საქმიანობის მოქნილობის ზრდას საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისა და აქტუალური რისკების გათვალისწინებით;
- სამსახურის შეზღუდული ადამიანური, დროითი და ფინანსური რესურსების ოპტიმალურ განაწილებასა და მათ გამოყენებას მაღალი რისკის შემცველი სფეროების შესასწავლად.

საკანონმდებლო საფუძვლები

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ ორგანული კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე. დაუშვებელია მის საქმიანობაში ჩარევა ან/და მისი საქმიანობის კონტროლი, ამ საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშის მოთხოვნა, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონით. აკრძალულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურზე ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს მისი დამოუკიდებლობა.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ ორგანული კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებლად განსაზღვრავს აუდიტორული საქმიანობის წლიურ გეგმას. ამასთანავე, ორგანული კანონი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევას, კერძოდ, სამსახური ატარებს არაგეგმურ ფინანსურ ან/და შესაბამისობის აუდიტს საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მომართვის საფუძველზე.

აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის მომზადების პროცესი

სამსახურის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის მომზადების პროცესი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს (დაგეგმვის პროცესის ინფოგრაფიკა იხ. დანართ 1-ში):

ეტაპი 1	•სექტორების/უწყებების მონიტორინგი
ეტაპი 2	•აუდიტორული დეპარტამენტების მიერ აუდიტის თემების შერჩევა და წარმოდგენა
ეტაპი 3	•აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის ძირითადი პარამეტრების ანალიზი
ეტაპი 4	•აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის განხილვა და დამტკიცება
ეტაპი 5	•აუდიტორული საქმიანობის წლიური სამოქმედო გეგმის მომზადება და რესურსების განაწილება
ეტაპი 6	•აუდიტორული საქმიანობის წლიურ გეგმაში ცვლილებების შეტანა

ეტაპი 1. სექტორების/უწყებების მონიტორინგი

აუდიტის თემების შერჩევის პროცესში მნიშვნელოვანია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და აქტუალური საკითხების შესახებ ინფორმაციის ფლობა, რაც არსებული გარემოსა და საზოგადოების ინტერესების შეფასების საშუალებას იძლევა. **სექტორების/უწყებების მონიტორინგი** (ე.წ. **Area watching**) არის სწორედ საჯარო სექტორში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებსა და მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება, რომელიც ტარდება რეგულარულად და მიზნად ისახავს არსებული ცვლილებებისა და ტენდენციების შესახებ აქტუალური ინფორმაციის შეგროვებას. მისი ამოცანაა შექმნას სხვადასხვა მაჩვენებლის/ინდიკატორის/საკითხის საინფორმაციო ბაზა, რომელიც ცალკეულ სექტორში/უწყებაში არსებული პოტენციური პრობლემების იდენტიფიცირებას გააძლიერებს და შესაძლოა, აუდიტის ჩატარების საფუძველი გახდეს. მსგავსი ტიპის ანალიზი უზრუნველყოფს სამსახურის მუდმივ ინფორმირებულობას თითოეულ სექტორში/უწყებაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ და გააადვილებს აქტუალური და რისკის შემცველი აუდიტის თემის შერჩევას დაგეგმვის ეტაპზე.

აუდიტორული დეპარტამენტები სექტორების მონიტორინგის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრავენ პრიორიტეტულ მიმართულებებს და არჩევენ აუდიტის პოტენციურ თემებს. მონიტორინგის პროცესში აუდიტორებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ სფეროსთან/უწყებასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა:

- სექტორში მიმდინარე/განხორციელებული რეფორმები;
- ახალი საბიუჯეტო ორგანიზაციების შექმნა;
- საბიუჯეტო ორგანიზაციის რეორგანიზაცია (გაერთიანება, გაყოფა ან სხვ.);
- ახალი სახელმწიფო პროგრამების დანერგვა;
- საბიუჯეტო ორგანიზაციების დაფინანსების არსებითი ცვლილება (ზრდა ან შემცირება);
- საკანონმდებლო ჩარჩოში განხორციელებული არსებითი ხასიათის ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენს საბიუჯეტო ორგანიზაციის საქმიანობაზე;
- სექტორთან/უწყებასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეფასებების, ინდიკატორების ან რეიტინგების გაუარესება;
- სექტორის/უწყების მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებები (მაგალითად, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებები ან სხვა მსგავსი) და მათი შესრულების მდგომარეობა. განსაკუთრებით საყურადღებოა შეუსრულებელი ვალდებულებები;
- საბიუჯეტო ორგანიზაციის უმაღლესი დონის მენეჯმენტის ხშირი ცვლილება;
- მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი სექტორის/უწყების მიმართ, რაც გამოიხატება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დაინტერესებული მხარეების (პარლამენტი, მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოება, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, მედია და მოქალაქეები) მომართვიანობაში. კერძოდ, რომელიმე დაინტერესებული მხარიდან მიღებული მომართვა კონკრეტული სექტორის/უწყების აუდიტის ჩატარების შესახებ;
- სექტორთან/უწყებასთან დაკავშირებით მედიასაშუალებებში გაჟღერებული საყურადღებო და აქტუალური საკითხები;
- სექტორში/უწყებაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ბოლო პერიოდში ჩატარებული აუდიტების შედეგებიდან მომდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რაც ცალკე აუდიტის ჩატარების საფუძველი შეიძლება გახდეს;
- სექტორში/უწყებაში გამოყენებული IT სისტემები და მათი მნიშვნელობა ბიზნესპროცესის უწყვეტობისათვის;
- სხვა აქტუალური საკითხები.

აღნიშნული ინფორმაციის შეგროვების მიზნით, აუდიტორული დეპარტამენტი აქტიურად უნდა ახორციელებდეს საინფორმაციო საშუალებების, მათ შორის, მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული მედიაანალიზებისა და

მედიაკვლევების, საკანონმდებლო ჩარჩოს, ბიუჯეტის კანონის, სხვადასხვა კვლევისა თუ პუბლიკაციის მონიტორინგს. ასევე ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა თემატურ კონფერენციებში, შეხვედრებსა და სემინარებში მონაწილეობა და დაინტერესებულ მხარეებთან თუ სფეროს სპეციალისტებთან გამართული დისკუსიები.

სექტორებზე/უწყებებზე დაკვირვება უწყვეტი პროცესია და მას წლის განმავლობაში მუდმივად ახორციელებს შესაბამის სექტორზე/საბიუჯეტო ორგანიზაციებზე პასუხისმგებელი აუდიტორული დეპარტამენტი. თითოეული სექტორის/უწყების მონიტორინგის პროცესში შეგროვებული ინფორმაცია აისახება **დანართი 2-ით** განსაზღვრულ ფორმის ნიმუშში. ყოველი წლის, **არა უგვიანეს 15 სექტემბრისა**, აუდიტორული დეპარტამენტის მიერ მომზადებული სექტორების/უწყებების მონიტორინგის ფორმა ეგზავნება სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტს (დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის – eflow-ს საშუალებით, შესაბამისი კურატორი გენერალური აუდიტორის მოადგილის ვიზირებით). ასევე მნიშვნელოვანია, აუდიტორული დეპარტამენტის მიერ მომზადებული აღნიშნული დოკუმენტი გაზიარდეს დეპარტამენტის ყველა აუდიტორთან, დაგეგმვის შემდეგი ეტაპის – აუდიტის პოტენციური თემების შერჩევის ხელშეწყობისათვის.

ეტაპი 2. აუდიტორული დეპარტამენტების მიერ აუდიტის თემების შერჩევა და წარმოდგენა

სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი, **არა უგვიანეს 30 სექტემბრისა**, აუდიტორულ დეპარტამენტებს აცნობებს აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის პროცესის დაწყების შესახებ და უგზავნის აუდიტის თემების წარმოდგენისათვის საჭირო ფორმების ნიმუშებსა და აუდიტის ჩატარების მოთხოვნით წლის განმავლობაში სამსახურში შემოსული მომართვების რეესტრს. კერძოდ, ნიმუშის ფორმებია:

- ფინანსური აუდიტის ფორმის ნიმუში ცენტრალური დონისათვის – დანართი 3.1;
- ფინანსური აუდიტის ფორმის ნიმუში ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის – დანართი 3.2;
- შესაბამისობის აუდიტის ფორმის ნიმუში – დანართი 4.1;
- მუნიციპალიტეტების შესახებ ინფორმაცია – დანართი 4.2;
- ეფექტიანობის აუდიტის ფორმის ნიმუში – დანართი 5;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შემოსული მომართვების რეესტრი – დოკუმენტში ასახულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მომართვა აუდიტის ჩატარების შესახებ, რომლებიც განხილული უნდა იქნეს შესაბამისი აუდიტორული დეპარტამენტის მიერ აუდიტის თემების შერჩევის პროცესში.

დაგეგმვის მეორე ეტაპზე აუდიტორული დეპარტამენტები იწყებენ მუშაობას აუდიტის თემების გენერირებასა და შერჩევაზე. მნიშვნელოვანია, აღნიშნულ პროცესში ჩართული იყოს დეპარტამენტის ყველა აუდიტორი, რამდენადაც იდეების სიმრავლე ჯანსაღი მსჯელობის წარმართვისა და რისკის შემცველი აუდიტის თემების შერჩევის საფუძველია. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მიერ განისაზღვროს შიდა ვადა, რა დრომდეც თითოეულ აუდიტორს ექნება შესაძლებლობა წარმოადგინოს შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის თემები, შესაბამისი არგუმენტებითა და დასაბუთებით.

პოტენციური აუდიტის თემების გენერირებისთვის, აუდიტორი ხელმძღვანელობს საკუთარი გამოცდილებით, დასრულებული ან მიმდინარე აუდიტის პროცესში გამოვლენილი საყურადღებო ფაქტებით, დეპარტამენტში მომზადებული სექტორების/უწყებების მონიტორინგის შედეგების რეესტრითა და იქ ასახული რისკებით (იხ. ეტაპი 1), მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული მედიაანალიზებით/ინფორმაციით, სამსახურში შემოსული მომართვების რეესტრითა და სხვა წყაროებით.

აუდიტორულ დეპარტამენტში გენერირებულ იდეებზე, დეპარტამენტის უფროსის ხელმძღვანელობით, იმართება მსჯელობა თითოეული აუდიტის თემის მიზანშეწონილობის, აქტუალობისა და აუდიტის ჩატარებით მისაღები პოტენციური შედეგის/სარგებლის შესახებ. აღნიშნული დისკუსიის საფუძველზე, დეპარტამენტის უფროსი, კურატორ გენერალური აუდიტორის მოადგილესთან კონსულტაციით, შეარჩევს აუდიტის თემებს.

აუდიტორული გეგმის შედგენის შემდგომ ეტაპებზე აუდიტის თემებს შორის კონკურენციისა და განხილვის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია, აუდიტორულმა დეპარტამენტმა წარმოადგინოს იმაზე მეტი აუდიტის თემა, ვიდრე მათ ჩასატარებლად საჭირო ადამიანური რესურსი აქვს. ასეთ შემთხვევაში, დეპარტამენტის უფროსი განსაზღვრავს თემების პრიორიტეტულობას. აღნიშნულის მიზანია განხილვის პროცესში შეირჩეს ყველაზე რელევანტური, აქტუალური და რისკის შემცველი აუდიტის თემები, რომლებიც საზოგადოებისთვის მეტ სარგებელს მოიტანენ. ასევე, განხილვის ეტაპზე რომელიმე თემაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აღნიშნული იძლევა თემის დროულად ჩანაცვლებისა და პროცესის შეუფერხებლად გაგრძელების შესაძლებლობას.

აუდიტორული დეპარტამენტის მიერ შერჩეული აუდიტის თემები სახელმძღვანელოს დანართებში მოცემული ფორმების ნიმუშებით, **არა უგვიანეს 1 ნოემბრისა**, ეგზავნება სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტს (დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის – eflow-ს საშუალებით, შესაბამისი კურატორი გენერალური აუდიტორის მოადგილის ვიზირებით). საჭირო საკადრო რესურსზე მეტი რაოდენობის აუდიტის თემის წარმოდგენის შემთხვევაში, წერილში მიეთითება აუდიტის ის რაოდენობა, რისი ჩატარების რესურსიც აქვს აუდიტორულ დეპარტამენტს.

ქვემოთ დეტალურადაა განხილული თითოეული სახეობის (ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის) აუდიტის თემის წარმოდგენისთვის საჭირო ფორმების ნიმუშებისა და პროცესის აღწერა.

➤ ფინანსური აუდიტი

ფინანსური აუდიტების შერჩევის პროცესში ძირითადი ყურადღება ექცევა ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელსა და ფინანსურ არსებითობას. სახელმძღვანელოს მიზანია უზრუნველყოს ამ მიმართულებით უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციებისათვის საერთაშორისო სტანდარტით დადგენილი მოთხოვნებისკენ სწრაფვა და მათი დაკმაყოფილება. აქედან გამომდინარე, **სახელმწიფოს ცენტრალურ დონეზე ფინანსური აუდიტების დაგეგმვისთვის გამოიყენება რისკებზე დაფუძნებული მიდგომა** (იხ. დანართი 3.1). მსგავსი მიდგომა ითვალისწინებს მოქნილობას საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისა და აქტუალური რისკების მიმართ, ასევე სამსახურის შეზღუდული ადამიანური, დროის და ფინანსური რესურსების გადანაწილებას მაღალი მატერიალობისა და რისკის შემცველი სფეროების შესასწავლად. სახელმწიფოს ცენტრალურ დონეზე ფინანსური აუდიტი ტარდება მხარჯავი დაწესებულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

რისკებზე დაფუძნებული მოდელი თითოეულ მხარჯავ დაწესებულებას აფასებს ოთხი კრიტერიუმის საფუძველზე. კრიტერიუმს ენიჭება მნიშვნელობა 1-დან 3-მდე, რისკის დონის მიხედვით (1 – დაბალი რისკის დონე, 2 – საშუალო რისკის დონე, 3 – მაღალი რისკის დონე). აღნიშნული კრიტერიუმებია:

1. მხარჯავი დაწესებულების ასიგნებების წილი მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტში.
2. ზედამხედველობის რისკი.
3. დაინტერესებულ მხარეთა ინტერესი.
4. რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.

მხარჯავი დაწესებულების ასიგნებების წილი მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტში – აღნიშნული კრიტერიუმით ფასდება მხარჯავი დაწესებულების ფინანსური მატერიალობა. იმ შემთხვევაში, თუ მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტის წილი სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან ასიგნებებთან მიმართებით აღემატება/უდრის 1%-ს, კრიტერიუმს ენიჭება მნიშვნელობა 3, თუ იგი აღემატება/უდრის 0.5%-ს – მნიშვნელობა 2, სხვა შემთხვევაში – მნიშვნელობა 1.

ზედამხედველობის რისკი – აღნიშნული კრიტერიუმით ფასდება, ბოლოს როდის ჩატარდა მხარჯავი დაწესებულების ფინანსური აუდიტი. კერძოდ, ზედამხედველობის რისკი მაღალია, თუ მხარჯავი დაწესებულების ფინანსური აუდიტი არ ჩატარებულა ორი ან მეტი ფისკალური წელი. ამ შემთხვევაში კრიტერიუმს ენიჭება მნიშვნელობა 3. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური

აუდიტი ერთი წელია არ ჩატარებულა, კრიტერიუმს ენიჭება მნიშვნელობა 2, ხოლო თუ ფინანსური აუდიტი ჩატარდა მიმდინარე წელს – მნიშვნელობა 1.

დაინტერესებულ მხარეთა ინტერესი – აღნიშნული კრიტერიუმით ფასდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დაინტერესებული მხარეების ინტერესი. კერძოდ, აქ იგულისხმება საქართველოს პარლამენტიდან, მთავრობიდან ან კონკრეტული საბიუჯეტო ორგანიზაციიდან, საერთაშორისო ან დონორი ორგანიზაციიდან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციიდან, მოქალაქიდან ან სხვა წყაროდან მიღებული მომართვები კონკრეტულ მხარჯავ დაწესებულებაში აუდიტის ჩატარების შესახებ. მომართვის წყაროს გათვალისწინებით, კრიტერიუმს ენიჭება შემდეგი მნიშვნელობები:

- პარლამენტის მომართვა – 3;
- მთავრობის, კონკრეტული საბიუჯეტო ორგანიზაციის ან საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციის მომართვა – 2;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის, მოქალაქის ან სხვა წყაროდან მიღებული მომართვა – 1;
- მხარჯავ დაწესებულებაზე მომართვის არარსებობა – 0.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შემოსული მომართვების რეესტრს აწარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი. შესაბამისად, წლის განმავლობაში მიღებული ყველა მსგავსი ტიპის მომართვა ცნობის სახით ეგზავნება სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტს. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მომართვების რეესტრი აუდიტორულ დეპარტამენტებს ეგზავნებათ აუდიტის გეგმის შედგენის პროცესის დაწყებისას (არა უგვიანეს 30 სექტემბრისა).

რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – აღნიშნული კრიტერიუმით ფასდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მხარჯავ დაწესებულებაზე გასული სამი წლის განმავლობაში გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების მდგომარეობა. იმ შემთხვევაში, თუ რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი 50%-ზე დაბალია, კრიტერიუმს ენიჭება მნიშვნელობა – 3; თუ რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი 50%-სა და 80%-ს შორისაა, კრიტერიუმს ენიჭება მნიშვნელობა – 2; თუ რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი 80%-ზე მაღალია, კრიტერიუმს ენიჭება მნიშვნელობა – 1. თუ ორგანიზაციაზე გასული სამი წლის განმავლობაში რეკომენდაცია არ გაცემულა, კრიტერიუმი მიიღებს მნიშვნელობას – 0.

თითოეულ კრიტერიუმზე, რისკის დონის გათვალისწინებით, შესაბამისი მნიშვნელობის მინიჭების შემდგომ, გაიანგარიშება რისკის ჯამური კოეფიციენტი. ჯამური კოეფიციენტის გამოთვლისათვის ხდება კრიტერიუმების შეწონვა (მათი გავლენის/მნიშვნელობის გათვალისწინებით) წინასწარ განსაზღვრული წონების მიხედვით.

კრიტერიუმი	კრიტერიუმის წონა
მხარჯავი დაწესებულების ასიგნებების წილი მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტში	0.6
ზედამხედველობის რისკი	0.2
დაინტერესებულ მხარეთა ინტერესი	0.1
რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	0.1

ჯამური კოეფიციენტის საფუძველზე განისაზღვრება მხარჯავი დაწესებულების ფინანსური აუდიტის აუდიტორული საქმიანობის წლიურ გეგმაში ასახვის მიზანშეწონილობა. იმ შემთხვევაში, თუ ჯამური კოეფიციენტი აღემატება/უდრის 2-ს, იგი წარმოადგენს მაღალი რისკის მატარებელ ორგანიზაციას; თუ ჯამური კოეფიციენტი აღემატება/უდრის 1.5-ს, იგი წარმოადგენს საშუალო რისკის მატარებელ ორგანიზაციას; ხოლო თუ ჯამური კოეფიციენტი ნაკლებია 1.5-ზე, ორგანიზაცია არის დაბალი რისკის მატარებელი.

სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი, მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს ანიჭებს შესაბამის მნიშვნელობებს და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გამოთვლის რისკის ჯამურ კოეფიციენტს (**დანართი 3.1**-ით განსაზღვრული ფორმის ნიმუშში). დოკუმენტი, არა უგვიანეს 30 სექტემბრისა, ეგზავნება სახელმწიფოს ცენტრალური დონის აუდიტორულ დეპარტამენტებს ფინანსური აუდიტების შესარჩევად.

აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები ამზადებენ ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებას. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ყოველწლიურად ატარებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტებით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ბუღალტრული ანგარიშგებების ფინანსურ აუდიტს. ამასთანავე, ბიუჯეტის დაფარვის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნების მიზნით, სამსახური ყოველწლიურად განიხილავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტის ჩატარების შესაძლებლობას. ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტები ფინანსური აუდიტების შესახებ ინფორმაციას წარმოადგენენ **დანართი 3.2**-ით განსაზღვრული ფორმის ნიმუშის მიხედვით.

რესურსების სწორად დაგეგმვისა და განაწილების მიზნით, მნიშვნელოვანია, ფინანსური აუდიტების დაგეგმვის ამ ეტაპზევე განისაზღვროს აუდიტში დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების საკითხი, როგორცაა, IT აუდიტორის, იურისტის, სფეროს ექსპერტის ან სხვა პირის ჩართულობა აუდიტის პროცესში.

➤ შესაბამისობის აუდიტი

აუდიტორული დეპარტამენტი შესაბამისობის აუდიტის შერჩეულ თემებს წარმოადგენს **დანართი 4.1**-ით განსაზღვრული ფორმის ნიმუშის მიხედვით. თემების შერჩევისას გაითვალისწინება სექტორების/უწყებების მონიტორინგისა და დეპარტამენტში გამართული მსჯელობის პროცესში იდენტიფიცირებული რისკები და თემის არსებობა (როგორც ფინანსური, ასევე სოციალური მნიშვნელობის თვალსაზრისით). კერძოდ, შესაბამისობის აუდიტის თემების შერჩევისას აუდიტორებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ისეთ რისკებზე, როგორებიცაა:

- საკანონმდებლო ჩარჩოში განხორციელებული არსებითი ხასიათის ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენს საბიუჯეტო ორგანიზაცი(ებ)ის საქმიანობაზე;
- ახალი საბიუჯეტო ორგანიზაციის შექმნა ან არსებული უწყებების რეორგანიზაცია (გაერთიანება, გაყოფა ან სხვ.);
- საბიუჯეტო ორგანიზაციის უმაღლესი დონის მენეჯმენტის ხშირი ცვლილება;
- ზედამხედველობის რისკი, რაც გულისხმობს, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციაში აუდიტი არ ჩატარებულა ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში;
- მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, რაც გამოიხატება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დაინტერესებული მხარეებიდან (პარლამენტი, მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოება, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, მედია და მოქალაქეები) მიღებულ მომართვებში კონკრეტული თემის ან საბიუჯეტო ორგანიზაციის აუდიტის ჩატარების შესახებ;
- მედიასაშუალებებით გამოთქმული/დასმული საყურადღებო და აქტუალური საკითხები;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ბოლო პერიოდში ჩატარებული აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი მნიშვნელოვანი საკითხები, რაც შესაბამისობის აუდიტის ჩატარების საფუძველი შეიძლება გახდეს;
- სექტორთან/უწყებასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეფასებების, ინდიკატორების ან რეიტინგების გაუარესება;
- სექტორის/უწყების მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობა (მაგალითად, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებები ან სხვა მსგავსი);
- სხვა აქტუალური საკითხები და რისკები.

ფორმის ნიმუშით მოთხოვნილი ინფორმაციის მიზანია უზრუნველყოს რისკებზე დაფუძნებული, დასაბუთებული და აქტუალური აუდიტის თემების შერჩევა, სადაც აუდიტის დეპარტამენტის მიერ ცხადადაა განსაზღვრული აუდიტის მიზანი და ის პოტენციური სარგებელი, რასაც აღნიშნული აუდიტი შექმნის საზოგადოებისთვის. ამ საკითხების

დაგეგმვის ეტაპზევე გათვალისწინება, ღირებული შედეგების მომტანი აუდიტის თემის შერჩევის საფუძველია.

რესურსების სწორად დაგეგმვისა და განაწილების მიზნით, მნიშვნელოვანია, დაგეგმვის ამ ეტაპზევე განისაზღვროს აუდიტში დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების საკითხი, როგორცაა, IT აუდიტორის, იურისტის, სფეროს ექსპერტის ან სხვა პირის ჩართულობა აუდიტის პროცესში.

შესაბამისობის აუდიტის თემის შერჩევისას, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, აუდიტორულმა დეპარტამენტმა უნდა გაითვალისწინოს ორი მიმართულება:

- *შესაბამისობის აუდიტი* – შესაბამისობის აუდიტის საგანი უნდა იყოს ვიწრო და კონკრეტულ თემატიკაზე ფოკუსირებული;
- *უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი* – შესაბამისობის აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი ნაკლოვანებები ხშირ შემთხვევაში სისტემური ხასიათისაა და საერთოა საბიუჯეტო ორგანიზაციების უმრავლესობისათვის. უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში თემატურად იფარება ათეულობით საბიუჯეტო ორგანიზაცია.

უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციებისათვის საერთაშორისო სტანდარტით დადგენილი დაფარვის მაჩვენებლის უზრუნველსაყოფად, შესაბამისობის აუდიტის თემების შერჩევის პროცესში, გარდა რისკებზე დაფუძნებული მიდგომისა, გასათვალისწინებელია კონკრეტული ორგანიზაციების, სექტორებისა და თემატიკის დაფარვის პერიოდულობის საკითხები. კერძოდ:

- სამსახური უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტით სამ წელიწადში ერთხელ მაინც ფარავს სახელმწიფო შესყიდვებისა და საჯარო სექტორში შრომის ანაზღაურების თემებიდან ერთ-ერთს;
- სამსახური ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც ატარებს მის მანდატში შემავალი მხარჯავი დაწესებულებების რომელიმე კომპონენტის (გარდა სახელმწიფო საწარმოებისა) შესაბამისობის აუდიტს;
- სამსახური, მინიმუმ, სამ წელიწადში ერთხელ მაინც ატარებს მუნიციპალიტეტის რომელიმე კომპონენტის შესაბამისობის აუდიტს.

აუდიტორული დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ფორმის ნიმუშში (დანართი 4.1) შესაბამისობის აუდიტის შერჩეული თემები დალაგებული უნდა იყოს პრიორიტეტულობის მიხედვით. ასევე ფორმის ნიმუშში მიეთითება, გეგმავს თუ არა დეპარტამენტი მიმდინარე წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით განსაზღვრული რომელიმე აუდიტის გადატანას (გარდამავალი აუდიტის სტატუსით) მომდევნო წლის გეგმაში. ასეთ შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნულის გამომწვევი მიზეზი.

➤ ეფექტიანობის აუდიტი

ეფექტიანობის აუდიტის თემებს აუდიტორული დეპარტამენტი წარმოადგენს ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოთი განსაზღვრული ინიცირების – მემოს ფორმატში, სადაც მოცემულია პოტენციური პრობლემის/რისკის აღწერა, თემის არსებითობა (როგორც ფინანსური, ასევე სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის კუთხით), საკითხის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, აუდიტის მიზანი, მასშტაბი და ძირითადი კითხვები, ასევე ის პოტენციური სარგებელი, რასაც აღნიშნული აუდიტი შექმნის საზოგადოებისთვის. ამ საკითხების დაგეგმვის ეტაპზევე გათვალისწინება, აქტუალური და ღირებული შედეგების მომტანი აუდიტის თემის შერჩევის საფუძველს წარმოადგენს.

ეფექტიანობის აუდიტის თემების შერჩევის პროცესში პირველ ეტაპზე (იხ. პირველი ეტაპის ქვეთავი) განსაზღვრულ რისკებთან/მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს სხვა ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული საინტერესო აუდიტები. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, დეპარტამენტმა იმსჯელოს, აუდირებადია თუ არა შერჩეული თემა; რამდენად აქვს დეპარტამენტს აღნიშნული აუდიტის ჩატარების კომპეტენცია და საჭირო იქნება თუ არა გარე ექსპერტის ჩართვა; რამდენად ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა გაკეთდეს შეფასება. მხოლოდ ამ საკითხების გაანალიზების შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება ეფექტიანობის აუდიტის თემის წარმოდგენის შესახებ.

უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციებისათვის საერთაშორისო სტანდარტით დადგენილი დაფარვის მაჩვენებლის უზრუნველსაყოფად, სამსახურმა ხუთი წლის განმავლობაში ეფექტიანობის აუდიტით უნდა დაფაროს საჯარო ფინანსების ფუნქციონალური კლასიფიკაციის (COFOG კლასიფიკაცია) მიხედვით განსაზღვრული 10-დან¹ 6 სექტორი მაინც.

ინიცირების მემოსთან ერთად აუდიტის დეპარტამენტი ამზადებს და წარმოადგენს **დანართი 5**-ით განსაზღვრულ ფორმის ნიმუშს, სადაც ეფექტიანობის აუდიტის თემები დალაგებული უნდა იყოს პრიორიტეტულობის მიხედვით. სხვა საკითხებთან ერთად ფორმის ნიმუშში მიეთითება აუდიტში დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების საკითხი, როგორცაა, IT აუდიტორის, იურისტის, სფეროს ექსპერტის ან სხვა პირის ჩართულობა აუდიტის პროცესში. რესურსების სწორად დაგეგმვისა და განაწილების მიზნით, მნიშვნელოვანია, ეს საკითხი განისაზღვროს დაგეგმვის ამ ეტაპზე. ასევე ფორმის ნიმუშში მიეთითება, გეგმავს თუ არა დეპარტამენტი მიმდინარე წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით განსაზღვრული რომელიმე აუდიტის გადატანას (გარდამავალი აუდიტის სტატუსით) მომდევნო წლის გეგმაში. ასეთ შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნულის გამომწვევი მიზეზი.

¹ განათლება; თავდაცვა; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; ეკონომიკური საქმიანობა; სოციალური დაცვა; საბინაო-კომუნალური მეურნეობა; ჯანმრთელობის დაცვა; დასვენება, კულტურა და რელიგია; საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება; გარემოს დაცვა.

ეტაპი 3. აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის ძირითადი პარამეტრების ანალიზი

სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი განიხილავს აუდიტორული დეპარტამენტების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას და არა უგვიანეს 15 ნოემბრისა, გენერალურ აუდიტორს წარუდგენს აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის ძირითად პარამეტრებს. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი ანალიზებს:

- აუდიტორული დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი ფორმების ნიმუშებისა და ინიცირების მემოების სისრულეს;
- წარმოდგენილი თემების შესაბამისობას სამსახურის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის სახელმძღვანელოს პრინციპებთან;
- შემოთავაზებულ თემებს შორის გადაფარვას;
- სამსახურის მიერ აღებულ საერთაშორისო და უწყებათაშორისი საბჭოების ვალდებულებებთან შესაბამისობას;
- ძირითადი პარამეტრების შესაბამისობას უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციებისათვის დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან და ინდიკატორებთან;
- აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

წარმოდგენილი ფორმების ნიმუშებში შეუსაბამოებების არსებობისა და დაზუსტებების საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი აუდიტორულ დეპარტამენტებთან აწარმოებს კომუნიკაციას ელექტრონული ფოსტის საშუალებით და უკან უბრუნებს ფორმების ნიმუშებს შესაბამისი კორექტირებისათვის.

აუდიტორული დეპარტამენტებიდან მიღებული საბოლოო, დაზუსტებული ინფორმაციის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი აკონსოლიდირებს პოტენციური აუდიტის თემებს და ამზადებს ერთიან ჩამონათვალს. ამასთანავე, დეპარტამენტი ითვლის თითოეული სახეობის აუდიტის მიმართულებით დადგენილ დაფარვის მაჩვენებელს და მათ მიმართებას საერთაშორისო ინდიკატორებთან, სტრატეგიით განსაზღვრულ მიზნებთან თუ სხვა მოთხოვნებთან.

სხვადასხვა აუდიტორული დეპარტამენტის მიერ ერთსა და იმავე საკითხზე შესაბამისობის აუდიტის თემის წარმოდგენის შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი იკვლევს აღნიშნულ თემატიკაზე უწყებათაშორისო შესაბამისობის აუდიტის ჩატარების შესაძლებლობას და ამ საკითხს, სხვა პოტენციური აუდიტის იდეებთან

ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასახავს გენერალური აუდიტორისთვის წარსადგენ ინფორმაციაში.

ეტაპი 4. აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის განხილვა და დამტკიცება

სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტიდან აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდგომ, გენერალური აუდიტორის გადაწყვეტილებით იმართება გეგმის განხილვა. სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი გენერალურ აუდიტორს აცნობს ჩატარებული ანალიზის შედეგებსა და გეგმის ძირითად პარამეტრებს, მათ შორის, ინფორმაციას დაფარვის მაჩვენებლებისა და საერთაშორისო ინდიკატორებთან, სტრატეგიით განსაზღვრულ მიზნებთან თუ სხვა მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის შესახებ.

აუდიტორული დეპარტამენტების უფროსები (ან მათი წარმომადგენლები), შესაბამისი კურატორი გენერალური აუდიტორის მოადგილისა და გენერალური აუდიტორის გადაწყვეტილებით მოწვეული სხვა მხარეების ჩართულობით, გენერალურ აუდიტორს წარუდგენენ მათ მიერ შეთავაზებული შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის თემების მოკლე მიმოხილვას (თითოეული აუდიტის მოტივაცია, მიზანი და პოტენციური სარგებელი). განხილვის მიზანია თემების შინაარსობრივი/ხარისხობრივი შეფასება მაქსიმალურად აქტუალური, რისკის შემცველი და სარგებლის მომტანი აუდიტების შერჩევის უზრუნველსაყოფად. განხილვის პროცესის კოორდინაციას ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი. განხილვის საფუძველზე რომელიმე აუდიტის თემის ჩანაცვლების საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის აუდიტორულ დეპარტამენტს ეძლევა გონივრული ვადა ახალი აუდიტის თემის წარმოსადგენად (ამავე სახელმძღვანელოთი განსაზღვრული ფორმების ნიმუშების მიხედვით).

გენერალური აუდიტორი ასევე განიხილავს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტის მიერ შეთავაზებულ აუდიტის იდეებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

განხილვების დასრულების შემდგომ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმში იღებს გადაწყვეტილებას მომავალი წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმაში წარმოსადგენი აუდიტების შესახებ. პრეზიდიუმის გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი ამზადებს აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის დოკუმენტს და წარუდგენს გენერალურ აუდიტორს დასამტკიცებლად. დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია დაგეგმილი აუდიტების რაოდენობის, ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებლებისა და თითოეული აუდიტის მიზნის შესახებ.

აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა მტკიცდება არა უგვიანეს 10 დეკემბრისა. დოკუმენტი ქვეყნდება სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე და ეგზავნება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

ეტაპი 5. აუდიტორული საქმიანობის წლიური სამოქმედო გეგმის მომზადება და რესურსების განაწილება

აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის დამტკიცების შემდგომ, თითოეული აუდიტორული დეპარტამენტი ამზადებს ჩასატარებელი აუდიტების სამოქმედო გეგმას. აღნიშნულის მიზანია აუდიტების დაწყება-დასრულების თარიღების განსაზღვრა და დეპარტამენტში არსებული ადამიანური რესურსის განაწილება.

სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი აუდიტორულ დეპარტამენტების უგზავნის დანართი 6-ით განსაზღვრულ ფორმის ნიმუშს, სადაც უკვე ასახულია ინფორმაცია აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმით დამტკიცებული აუდიტების შესახებ. აუდიტორული დეპარტამენტი თითოეული დაგეგმილი აუდიტის შესახებ ფორმის ნიმუშით წარმოადგენს შემდეგ ინფორმაციას:

- აუდიტის თითოეული ეტაპის დაწყება-დასრულების თარიღი;
- აუდიტის ზედამხედველი;
- თითოეულ ეტაპზე ჩართული აუდიტორ(ებ)ის სახელი, გვარი, ფუნქცია (როლი), თანამდებობა და დაგეგმილი კაც/დღეების რაოდენობა.

ფორმის ნიმუშის საშუალებით გამოითვლება თითოეული აუდიტის ჩატარებისათვის საჭირო კაც/დღეების რაოდენობა და ფასდება თითოეული აუდიტორის დატვირთვა.

აუდიტორული დეპარტამენტი, არა უგვიანეს 15 დეკემბრისა, დანართი 6-ით განსაზღვრული ფორმის ნიმუშით, შესაბამის ინფორმაციას უგზავნის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტს (ელექტრონული ფოსტით).

ფორმების ნიმუშებში შეუსაბამოების არსებობისა და დაზუსტებების საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი აუდიტორულ დეპარტამენტებთან აწარმოებს კომუნიკაციას ელექტრონული ფოსტის საშუალებით და უკან უბრუნებს ფორმების ნიმუშებს შესაბამისი კორექტირებისათვის.

აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის დამტკიცების შემდგომ, აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი განსაზღვრავს იმ აუდიტების ჩამონათვალს, სადაც წლის განმავლობაში განხორციელდება ხარისხის კონტროლის პროცედურები, ასევე მიმოხილვის პროცესში ჩართულ აუდიტორებსა და დაგეგმილი კაც/დღეების რაოდენობას. აღნიშნული

ინფორმაცია, არა უგვიანეს 20 დეკემბრისა, ეგზავნება სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტს (ელექტრონული ფოსტით).

სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი აკონსოლიდირებს აუდიტორული და აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტებიდან მიღებულ ინფორმაციას, აფასებს აუდიტების დაწყება-დასრულების წარმოდგენილი ვადების შესაბამისობას საერთაშორისო ინდიკატორებთან, სტრატეგიით განსაზღვრულ მიზნებთან თუ სხვა მოთხოვნებთან. აუდიტორული საქმიანობის წლიური სამოქმედო გეგმა მტკიცდება სამსახურის ერთიან სამოქმედო გეგმასთან ერთად.

სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი აუდიტორული საქმიანობის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ინფორმაციას ასახავს აუდიტის მართვის სისტემაში (AMS) არა უგვიანეს 15 იანვრისა.

ეტაპი 6. აუდიტორული საქმიანობის წლიურ გეგმაში ცვლილებების შეტანა

წლის განმავლობაში წარმოქმნილი საჭიროებებიდან გამომდინარე, აუდიტორული საქმიანობის გეგმაში შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები. გეგმაში ცვლილების განხორციელების მიზეზი შეიძლება იყოს:

- გეგმაში ახალი აუდიტის თემის დამატება;
- გეგმით განსაზღვრული აუდიტის მახასიათებლების დაზუსტება (აუდიტის სახელი, აუდიტის დაფარვის პერიოდი, აუდიტის მასშტაბი და ა.შ.);
- გეგმიდან აუდიტის ამოღება;
- გეგმით განსაზღვრული აუდიტისათვის გარდამავალი აუდიტის სტატუსის მინიჭება;
- და სხვა საკითხები.

აუდიტორული დეპარტამენტი, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, ამავე სახელმძღვანელოს მეორე ეტაპით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტს წარუდგენს ინფორმაციას (დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის - eflow-ს საშუალებით, შესაბამისი კურატორი გენერალური აუდიტორის მოადგილის ვიზირებით) დანართებით განსაზღვრული ფორმების ნიმუშებით. წერილში მითითებული უნდა იყოს ცვლილების საჭიროების გამომწვევი მიზეზ(ებ)ი.


სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი აუდიტორული დეპარტამენტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის ცვლილების პროექტს და წარუდგენს გენერალურ აუდიტორს. პრეზიდენტი განიხილავს გეგმაში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობას და იღებს გადაწყვეტილებას.

აუდიტორული საქმიანობის წლიურ გეგმაში ცვლილებების შეტანიდან **5 სამუშაო დღის ვადაში**, აუდიტორული დეპარტამენტი სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტს წარუდგენს (ელექტრონული ფოსტით) დაკორექტირებულ სამოქმედო გეგმას დანართი 6-ით განსაზღვრული ფორმის ნიმუშის მიხედვით.

სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი აკონსოლიდირებს აუდიტორული დეპარტამენტებიდან მიღებულ მონაცემებს და აღნიშნულის შესაბამისად განაახლებს ინფორმაციას აუდიტის მართვის სისტემასა (AMS) და სამსახურის ერთიან სამოქმედო გეგმაში.

დანართები:

დანართი 1. აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის მომზადების პროცესი - ინფოგრაფიკა



დანართი 2. სექტორების/უწყებების მონიტორინგის ფორმის ნიმუში

დანართი 3.1 ფინანსური აუდიტის ფორმის ნიმუში – ცენტრალური დონე

დანართი 3.2 ფინანსური აუდიტის ფორმის ნიმუში – ა/რ-ები და მუნიციპალიტეტები

დანართი 4.1 შესაბამისობის აუდიტის ფორმის ნიმუში

დანართი 4.2 მუნიციპალიტეტების შესახებ ინფორმაცია

დანართი 5. ეფექტიანობის აუდიტის ფორმის ნიმუში

დანართი 6. აუდიტების სამოქმედო გეგმის ფორმის ნიმუში